კვლავ დამარცხდნენ

მოსკოვი. ლენინის სახ. ცენტრალური სტადიონი. 14 აგვისტო.

ცსკა - “დინამო” (თბილისი) - 1:0 (1:0).

ცსკა: პშენიჩნიკოვი, ისტომინი, შესტერნიოვი, აფონინი, კაპლიჩნი, სოლოხო (პლახეტკო), შულიატიცკი, აბდურაიმოვი (დუდარენკო), ვშივცევი, პოლიკარპოვი, ჟიგუნოვი.

“დინამო”: ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ჭოხონელიძე, პეტრიაშვილი (მაჩაიძე), ილიადი, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

მსაჯი: კ. ანძიულისი (კაუნასი).

დუბლიორები 3:0 ცსკა-ს სასარგებლოდ.

სინოპტიკოსები წვიმასა და ჭაქა-ქუხილს გვპირდებოდნენ. საფეხბურთო “ჭექა-ქუხილის” მოლოდინში იყვნენ აგრეთვე ფეხბურთის სპეციალისტები და გულშემატკივრები. ამ მოსაზრებას ჰქონდა ლოგიკური დასაბუთება: არმიელებს სურდათ უფრო მყარად დამკვიდრებულიყვნენ სატურნირო ცხრილის მე-3 საფეხურზე. თბილისელებს არანაკლებ სჭირდებოდათ 2 ქულა და ამასთან უნდა ეზრუნათ 2 კვირის წინათ მოსკოვის “დინამოსთან” მატჩში შელახული რეპუტაციის აღდგენისთვის.

სამწუხაროდ, პროგნოზების მოყვარულნი შეცდნენ: სინოპტიკოსები იმაში, რომ წვიმა მოსკოვში მხოლოდ გვიან ღამით მოვიდა, ფეხბურთის გულშემატკივრები კი ორივე გუნდის ძალზე ნელი და “მშვიდობისმოყვარული” თამაშის გამო. თითქმის მთელი მატჩის მანძილზე ბურთი მინდვრის ცენტში ტრიალებდა და თითქოს არც აპირებდა კარში შესვლას, ან საჯარიმო მოედანზე მოხვედრას.

თბილისელთა რიგებში ტრავმის გამო არ თამაშობდა გავაშელი, მინდორზე კვლავ ვიხილეთ ხურცილავა. არმიელთა გუნდში კი ამ დღეს არ გახლდათ ახალგაზრდა, მოიერიშე თავდამსხმელი კეპეიკინი, რომლის ნაცვლად თამაშობდა ვშივცევი. სამაგიეროდ, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ არმიელთა კარს იცავდა პშენიჩნიკოვი.

უკვე დასაწყისიდანვე მატრეველი ცდილობდა აეწყო თავდამსხმელთა თამაში, მაგრამ აფონინი, როგორც იტყვიან, აეკრო თბილისელთა კაპიტანს. ძმები ნოდიები ამ დღეს მკრთალად გამოიყურებოდნენ და გუნდისთვის დიდი სარგებლობა არ მოუტანიათ.

შეტევაში უფრო ხშირად ნახევარმცველებს ილიადისა და პეტრიაშვილს იხილავდით, რომლებიც გააზრებით მოქმედებდნენ. სამწუხაროდ, ამასვე ვერ ვიტყვით მესამე ნახევარმცველზე - ასათიანზე.

მიმდინარეობდა მატჩის მე-11 წუთი, როცა ილიადიმ შორი მანძილიდან მოულოდნელად და ეფექტურად დაარტყა. ბურთი გარედან შეეხო ბადეს. მოსკოველთა ერთ-ერთი იერიშის დროს ძოძუაშვილმა საჯარიმო მოედნის მისადგომებთან მოცელა ჟიგუნოვი, დაინიშნა ჯარიმა. აბდურაიმოვმა უნაკლოდ შეასრულა დარტყმა, თითქმის ზედ მეკარის მოედანთან ჩააწოდა ბურთი. აქ მას მიმართულება შეუცვალა ჟიგუნოვმა და... 1:0. ეს მოხდა მატჩის 33-ე წუთზე. გატანილ ბურთს მოჰყვა დინამოელთა შეტევა. ათამაშდა მეტრეველი, მაგრამ მისი პარტნიორები აგვიანებდნენ ბურთზე გასვლას.

შესვენების შემდეგ, ისევე როგორც პირველ ნახევარში, ბრძოლას დაახლოებით თანაბარი ხასიათი ჰქონდა. ენერგიულმა ვშივცევმა რამდენიმეჯერ სცადა ურუშაძის კარის დალაშქვრა, მაგრამ უშედეგოდ.

კვლავ უტევენ ქართველი ფეხბურთელები, კვლავ იერიშზეა მეტრეველი, ლამაზად ურტყამს კარში პეტრიაშვილი, ზუსტად კართან აწვდის ბურთს ლ. ნოდია, გოლი კი არა და არ ჩანს.

... დროს ნელ-ნელა იწურება. გაისმის საფინალო სასტვენის ხმა, რაც გვაუწყებს, რომ თბილისელებმა მესამე დამარცხება იწვნიეს და საგრძნობლად გაიუარესეს ბრინჯაოს მედლებისთვის ბრძოლის შანსები.

ო. ნოზაძე (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).
“ლელო”, 16 აგვისტო, 1969 წ.